

მუსლიმი მესხების რეპატრაციის მომზადებითი პოლიტიკა საქართველოში



სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

მუსლიმი მესხების რეპატრაციის მოჩვენებითი პოლიტიკა საქართველოში

სოციალური სამართლიანობის ცენტრი
თბილისი, 2023



Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Embassy of Switzerland in Georgia



სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

დოკუმენტი მომზადდა პროექტის „საქართველოში თანასწორობის, სოლიდარობის და სოციალური მშვიდობის მხარდაჭერის“ ფარგლებში, რომელსაც საქართველოში შვეიცარიის საელჩოს მხარდაჭერით სოციალური სამართლიანობის ცენტრი ახორციელებს.

დოკუმენტის შინაარსი მხოლოდ სოციალური სამართლიანობის ცენტრის პასუხისმგებლობაა და არცერთ შემთხვევაში არ ასახავს შვეიცარიის საგარეო საქმეთა ფედერალური დეპარტამენტის პოზიციებს.

ხელმძღვანელი: თამთა მიქელაძე

მკვლევარი: ანი ისაკაძე

ყდის დიზაინი: სალომე ლაცაბიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ორგანიზაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ციტირების წესი: სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ანი ისაკაძე, „მუსლიმი მესხების რეპატრაციის მოჩვენებითი პოლიტიკა საქართველოში“, 2023

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ: +995 032 2 23 37 06

<https://socialjustice.org.ge/>

info@socialjustice.org.ge

www.facebook.com/socialjustice.org.ge

სარჩევი

შესავალი	2
რეპატრიანტთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოში არსებული სამართლებრივი მექანიზმები	3
სახელმწიფოს მიერ გატარებულ ღონისძიებათა რეალური შედეგი რეპატრიანტთა უფლებრივ მდგომარეობაზე	6
რეპატრიაციის პროცესის საერთაშორისო მიმოხილვა-პოლონეთი	9
რეპატრიაციის პროცესის საერთაშორისო მიმოხილვა-ლატვია.....	12
დასკვნა.....	13

შესავალი

მუსლიმი მესხების დევნის გამოცდილება მაშინ დაიწყო, როდესაც 1944 წელს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 31 ივლისის დადგენილებით გადაწყდა, რომ „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის პირობების გაუმჯობესების“ მიზნით სსრ-ს სასაზღვრო ზოლიდან ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის რაიონებიდან და აჭარის ასსრ-დან 86,000 მოქალაქე, უნდა გადასახლებულიყო.¹

მას შემდეგ, გადასახლებულმა მესხებმა არაერთხელ, უშედეგოდ, სცადეს სამშობლოში დაბრუნება. დაბრკოლებებით სავსე დაბრუნების პროცესში, იმედისმომცემი გახდა საქართველოს მიერ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუციის რატიფიცირება, რითაც საქართველო იღებდა კანონისმიერ ვალდებულებას, რომ მოკლე ვადაში უზრუნველყოფდა საბჭოთა რეჟიმის მიერ დეპორტირებული მესხი მოსახლეობის ღირსეულ რეპატრაციასა და შემდგომ ინტეგრაციას. თუმცა, სახელმწიფოს მიერ გატარებული ზომები, მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო ვალდებულების ფორმალურად შესრულებას ჰგავდა, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ რეალურად, სამშობლოში დაბრუნება დეპორტირებული მოსახლეობის კრიტიკულად მცირე რაოდენობამ მოახერხა. ხოლო, ჩამოსულ პირებს კი მათ მიმართ არაკეთილგანწყობილი ხელისუფლება, უამრავი ფორმალური ბარიერი და ეკონომიკური სირთულე დახვდათ.

რატიფიცირებული რეზოლუციის ფარგლებში საქართველომ საკუთარი ვალდებულებების შესრულება საკანონმდებლო რეგულაციებით შესრულებით დაიწყო. 2007 წელს საქართველოში ამოქმედდა კანონი „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრაციის შესახებ.“ თუმცა, ის გამოწვევები და სირთულეები, რომელსაც რეპატრაციის მსურველი პირები აწყდებიან, ცხადყოფს, რომ არსებული სამართლებრივი სისტემა არაეფექტიანი და უსამართლო იყო. მეტიც, კანონმდებლობამ რეპატრაციის მსურველ პირებს არასაჭირო ფორმალური ბარიერები შეუქმნა - მაგალითად, რეპატრიანტის სტატუსის მიღების პროცედურად განსაზღვრა ათობით დოკუმენტის წარდგენის ვალდებულება და არაგონივრული ვადები დაადგინა, რამაც ცალსახად შეაფერხა გადასახლებული პირების სამშობლოში დაბრუნების პროცესი. დამატებით, პრობლემა გახდა, ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკაც. სახელმწიფოს არ უფიქრია, რომ იძულებით გადასახლებაში მყოფ პირებს, რომლებიც, საქართველოში, ერთგულებისა და ენთუზიაზმის დასამტკიცებლად დაბრუნდნენ, ჩამოსვლის შემდგომ, ფაქტობრივად ცხოვრების ხელახალი დაწყება მოუწევდათ. შესაბამისად, სახელმწიფომ სრულად უგულებელყო მათთვის არათუ სპეციალური, არამედ ბაზისური სოციალური გარანტიების მინიჭების საჭიროების საკითხი.

სწორედ სახელმწიფოს მიერ გამოჩენილი გულგრილობისა და უყურადღებობის შედეგია, რომ დღეს მუსლიმი მესხების თემში მძიმედ დგას საქართველოში მყოფი, თუმცა მოქალაქეობის გარეშე დარჩენილი ოჯახების ყოფა, რომლებიც ენის ბარიერისა და უკიდურესი სოციალური პრობლემების წინაშე, მარტოდ არიან დარჩენილნი.

¹ სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის №6279cc დადგენილება საქართველოს სსრ სასაზღვრო რეგიონებიდან თურქი მესხების, ქურთების და ჰემშინების გადასახლების შესახებ. 1944 წლის 31 ივლისი, 1-ელი პუნქტი, ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/public/upload/Blog/official_documents_of_1944_on_the_deportation_of_ethnic_minorities_living_in_southern_georgia.pdf

წინამდებარე დოკუმენტი მიმოიხილავს რეპატრირებული პირების უფლებრივ მდგომარეობას და იმ ძირეულ ხარვეზებს, რომელიც რეპატრაციის კანონმდებლობასა და პროცესს ახლდა თან. დოკუმენტში ასევე განხილულია სხვა რელევანტურ ქვეყნებში რეპატრაციის გამოცდილება, რომელიც კიდევ ერთხელ აჩვენებს ქართული გამოცდილების მოჩვენებითობას და დემონსტრაციულ არაეფექტიანობს.

რეპატრიანტთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოში არსებული სამართლებრივი მექანიზმები

ევროპის საბჭოში გაწევრიანების მიზნით, საქართველომ საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუციის რატიფიცირება მოახდინა, რომლის 10.2 პუნქტის, „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ევროსაბჭოში გაწევრიანებიდან ორი წლის განმავლობაში, საბჭოთა რეჟიმის მიერ დეპორტირებული მესხი მოსახლეობის რეპატრაციისა და ინტეგრაციის შესახებ სამართლებრივი მოწესრიგება უნდა შეექმნა. ამასთან, საქართველომ იკისრა ვალდებულება, რომ საბჭოში ინტეგრაციიდან სამი წლის თავზე, უშუალოდ დაიწყებდა რეპატრაციისა და დაბრუნებული პირების ინტეგრაციის აქტიურ ხელშეწყობას, ხოლო ევროპის საბჭოში გაწევრიანებიდან 12 წლის შემდგომ, კი უშუალოდ დაასრულებდა აღნიშნულ პროცესს.²

2007 წელს საქართველოში ამოქმედდა კანონი „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრაციის შესახებ“. კანონის მიღების მიზეზად, იძულებით გადასახლებულ პირთა და მათ შთამომავალთა მიმართ ისტორიული სამართლიანობის აღდგენის, ღირსეული და ნებაყოფლობითი დაბრუნების აუცილებლობა დასახელდა.³ ხოლო, კანონის მიზნად კი, სსრკ-ს მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადასახლებულ პირთა და მათ შთამომავალთა საქართველოში დაბრუნებისათვის სამართლებრივი მექანიზმების შექმნა განისაზღვრა.⁴

კანონით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის პროცესის მონიტორინგისათვის 2011 წლის 1 მარტს, საქართველოს მთავრობის N111 დადგენილებით ჩამოყალიბდა უწყებათაშორისი სამთავრობო საბჭო, რომლის საქმიანობის მიზნადაც შემდეგი სამი საკითხი განისაზღვრა, კერძოდ:

- *იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრაციასთან დაკავშირებულ პროცესში ჩართული სახელმწიფო უწყებებისა და დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაცია.*
- *გადასახლებულ პირთა რეპატრაციასთან დაკავშირებით შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება;*

² Georgia's Application for Membership of the Council of Europe, Opinion 209 (1999), Article 10.2 “e”, ხელმისაწვდომია: <http://www.assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=16669&lang=en>

³ განმარტებითი ბარათი „საქართველოს კანონზე „ყოფილი სსრკ-ს მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრაციის შესახებ“, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/262485>

⁴ იქვე.

- საქართველოს მთავრობის ინფორმირება რეპატრიაციის პროცესის მიმდინარეობის შესახებ;⁵

რეპატრიაციის პროცესის ეფექტიანობისთვის, 2014 წელს მიღებული იქნა „საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ სახელმწიფო სტრატეგია“. სტრატეგიის მოქმედების ორ ძირითად მიმართულებად - რეპატრიანტთა ღირსეული დაბრუნება და საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის ხელშეწყობა დადგინდა.

თავის მხრივ, რეპატრიაციის შესახებ, სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე მთავრობის განკარგულებით დამტკიცდა, რომ რეპატრიანტთა ღირსეული დაბრუნების მიზნით სტრატეგიაში გათვალისწინებული იქნებოდა შემდეგი ამოცანების შესრულების კონკრეტული მექანიზმები, კერძოდ, 1. რეპატრიაციის პროცესის ეფექტურად დაგეგმვის მიზნით რეპატრიანტთა საჭიროებების შესახებ განახლებული ინფორმაციის მოპოვება; 2. დაბრუნების მსურველი პირების ინფორმირება საქართველოს რეგიონებში არსებული რესურსებისა და სამართლებრივი საკითხების შესახებ და 3. რეპატრიანტთა მიერ პირადი დანიშნულების ნივთებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეღავათიანი პირობებით გადმოტანის მიზნით, შესაბამისი ნორმატიული აქტების შემუშავება.⁶

ამასთან, სტრატეგიის დამტკიცების შესახებ განკარგულებით დამატებით დადგინდა, რომ მნიშვნელოვანი იქნებოდა რეპატრიანტთა საინტეგრაციო პოლიტიკის განხორციელებისთვის ისეთი ამოცანების შესრულება, როგორიცაა:

- ახალ სამართლებრივ გარემოში სწრაფი ადაპტირების მიზნით სამართლებრივ საკითხებზე რეპატრიანტთა ცნობიერების ამაღლება;
- საზოგადოებაში მულტიკულტურურობის ტრადიციების გაზიარების გზით რეპატრიანტთა კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება;
- რეპატრიანტთათვის სახელმწიფო ენის სწავლების ხელშეწყობა;
- ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, რეპატრიანტთა სრულფასოვანი ინფორმირება მათთვის გასაგებ ენაზე;⁷

აღსანიშნავია, რომ სტრატეგიის განხორციელებისათვის ხელისუფლებას უნდა შეემუშავებინა სამოქმედო გეგმა, რომლითაც სტრატეგიაში დასახელებული მიზნების ეფექტური განხორციელებისათვის საჭირო მექანიზმებიდა პროცედურები უნდა განსაზღვრულიყო.⁸

კიდევ ერთი სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც სპეციალურად რეპატრიაციის პროცესისათვის შეიქმნა „რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირთათვის საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭების შესახებ“ მთავრობის დადგენილებაა, რომლის საფუძველზეც, შემდგომში კონკრეტული ცვლილებები იქნა შეტანილი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონში. ამ სამართლებრივი მექანიზმებს საფუძველზე დადგინდა, რომ რეპატრიანტის

⁵ საქართველოს მთავრობის დადგენილება № 111, 2011 წლის 1 მარტი ქ. თბილისი „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის უწყებათაშორისი სამთავრობო საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ“, მე-2 მუხლი სრულად, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1226320?publication=7>

⁶ საქართველოს მთავრობის განკარგულება №1671, 2014 წლის 12 სექტემბერი, ქ. თბილისი, ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცების შესახებ, მე-3 პუნქტი, სრულად. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2509406?publication=0>

⁷ იქვე. მე-4 პუნქტი

⁸ იქვე. მე-5 პუნქტი

სტატუსის მქონე პირები პირობადებულ მოქალაქეობას გამარტივებული წესით - დაბადების მოწმობისა და რეპატრიანტის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე მიიღებდნენ.

არსებულ საკანონმდებლო მოწესრიგებაში რჩებოდა მნიშვნელოვანია გამოწვევები, რომელიც იმთავითვე აზიანებდა რეპატრიაციის შესაძლებლობებს. თავის მხრივ რეპატრიანტის სტატუსის მოპოვების მსურველ პირს ათამდე დოკუმენტის წარდგენის უზრუნველყოფა დაევალა, მათ შორის:

- რეპატრიანტის სტატუსის მოპოვების შესახებ განაცხადი
- იძულებით გადასახლების დამადასტურებელი დოკუმენტი
- კონკრეტული ქვეყნის კუთვნილების ან მუდმივი ბინადრობის ასევე პირადობის დამადასტურებელი მოქმედი დოკუმენტები
- ოჯახური მდგომარეობის ან/და ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტები
- ვტობიოგრაფია, სადაც განმცხადებლის პერსონალურ მონაცემებთან ერთად მითითებული უნდა იყოს, თუ რომელ ენებს ფლობს, და მისი მოქალაქეობრივი კუთვნილება
- ინფორმაცია ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ⁹

ცალსახაა, რომ იძულებით გადასახლებაში მყოფი პირისათვის, ამგვარი ბიუროკრატიული ბარიერებისა და შემოწმების მკაცრი სტანდარტის დაწესება ჩანასახშივე გაართულებდა რეპატრიაციის პროცესს, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ ჩამოთვლილი დოკუმენტები წარდგენილი უნდა ყოფილიყო ქართულ ან ინგლისურ ენაზე, რაც კიდევ უფრო მეტად ართულებდა რუსულ ან თურქულ ენოვანი ადამიანებისთვის ამ პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობას.

ბიუროკრატიულ და ენობრივ ბარიერებთან ერთად, დამატებითი გამოწვევა აღმოჩნდა რეპატრიაციის პროცესისათვის მჭიდრო და ამოწურვადი ვადების დაწესება. რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების შემდგომ, იძულებით გადასახლებულ პირებს განესაზღვრათ ორ წლიანი ვადა, რათა საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭების მოთხოვნით მიემართათ სახელმწიფოსათვის. რის შემდეგაც, ორ წლის განმავლობაში განმცხადებელს უნდა დაეტოვებინა სხვა ქვეყნის მოქალაქეობა.¹⁰

თუმცა სხვა ქვეყნის მოქალაქეობის დატოვების სავალდებულო პირობა მესხებისთვის გადაულახავ გამოწვევად იქცა. მესხები საჯარო საუბრებში ღიად აცხადებენ, რომ აზერბაიჯანის სახელმწიფო მიზანმიმართულად ამბობს უარს მოქალაქეობიდან გასვლის შესახებ განაცხადების დაკმაყოფილებაზე, მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანის მოქალაქეობის დატოვების უფლება სახელმწიფოს მიერ ოფიციალურად აღიარებულია.

სხვა ქვეყნის მოქალაქეობის დატოვების სავალდებულო პირობის პრობლემურობაზე საუბარია სახალხო დამცველის ანგარიშშიც, რომლის მიხედვითაც: „გადასახლებულ პირთათვის კვლავ გამოწვევად რჩება საქართველოს მოქალაქეობის მიღება. მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭების მიუხედავად, ე.წ. პირობადებულ მოქალაქეობას ართულებს სხვა ქვეყნის მოქალაქეობიდან

⁹ ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ, მე-4 მუხლის მე-2 ნაწილი სრულად.

¹⁰ საქართველოს მთავრობის დადგენილება №87 2010 წლის 30 მარტი ქ. თბილისი, რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირთათვის საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭების შესახებ, მე-2 მუხლი, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4096?publication=0>

*გასვლის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის, როგორც საქართველოს მოქალაქეობს ამოქმედებისათვის აუცილებელი პირობის საჭიროება.*¹¹

ამასთან კანონი არ ითვალისწინებდა რეპატრირებული მესხებისთვის ქონებრივი უფლებების რესტიტუციისა და სპეციალური სოციალური მხარდაჭერის შესაძლებლობებს, რაც რეპატრიაციის შემდეგ ისედაც მოწყვლადი ოჯახების ადაპტაციასა და სოციალურ ინტეგრაციას ართულებდა.

სახელმწიფოს მიერ გატარებულ ღონისძიებათა რეალური შედეგი რეპატრიანტთა უფლებრივ მდგომარეობაზე

რეპატრიაციის პროცესის თანხმხლევე სამართლებრივ ბარიერებთან ერთად, კიდევ ერთი ხელშემშლელი ფაქტორი აღმოჩნდა რეპატრირებული პირების სოციალური მოწყვლადობაც. რეალურად სახელმწიფომ არ შექმნა დაბრუნებული პირებისათვის მყარი სოციალური და სამართლებრივი გარანტიები, რის გამოც, ისტორიულად ტრავმირებული და დევნილი თემისთვის რთული გახდა, მიმღებ ქვეყნებში და საზოგადოებებში ადაპტირებული სოციალური კავშირების, ეკონომიკური პრაქტიკებისა და ქსელების გაწყვეტა და საქართველოში დაუცველობის მაღალი რისკების პირობებში ცხოვრების ხელახალი დაწყება. რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ სახელმწიფო სრულად უგულებელყოფს ჩაგრული მესხების ისტორიული გამოცდილების აღიარებისა და გააზრების მნიშვნელობას.

არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით ცხადი ხდება, რომ რეპატრიაციის პროცესი, უხეშად, მხოლოდ, სამართლებრივი პერსპექტივიდან იქნა დანახული, შესაბამისად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ სახელმწიფომ კონკრეტული ნაბიჯები მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო ვალდებულებების ფორმალური შესრულების მიზნით გადადგა და რომ, რეპატრიაციის პროცესის დაგეგმვისას ხელისუფლებას არ გააჩნდა რეალური პოლიტიკური ნება იმისა, რომ იძულებით გადასახლებული პირებს მართლაც მოეხერხებინათ ისტორიული სამართლიანობის აღდგენა და სამშობლოში ღირსეული დაბრუნება, იმდენად რამდენადაც, სახელმწიფოს კონტრიბუცია ფაქტობრივად ნულოვანია რეპატრიაციის რეალურ პროცესებთან დაკავშირებულ სირთულეებში მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების გააზრების კუთხით.

რეპატრიაციის პროცესთან დაკავშირებული სტატისტიკა ამ რეალობას ყველაზე აშკარად აჩვენებს. 2011-2017 წლების განმავლობაში რეპატრიაციის სტატუსი ჯამში 1998 სრულწლოვანმა პირმა მიიღო.¹² თავის მხრივ, რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირთაგან მხოლოდ 494 პირს მიენიჭა პირობადებული მოქალაქეობა გამარტივებული წესით,¹³ საბოლოოდ კი არც ერთი მათგანის საბოლოო ნატურალიზება არ მომხდარა.¹⁴

1970-იანი წლების ბოლოდან გადასახლებულ პირთაგან, მხოლოდ რამდენიმემ მოახერხა საქართველოში დაბრუნება, თუმცა დაბრუნებულები თვითრეპატრირებული ოჯახები არიან, ისინი სახელმწიფოს დახმარების გარეშე, საკუთარი ინიციატივით, რესურსებითა და ხარჯებით შეძლეს

¹¹ საქართველოს სახალხო დამცველის 10 დეკემბრის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2017, გვ.26

¹² შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია. (დოკუმენტი N 1541-1-2-202209211441)

¹³ იქვე.

¹⁴ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია. (დოკუმენტი N 1642-1-2-202210101057)

სამშობლოში დაბრუნება.¹⁵ 2007 წელს ამოქმედებული მოწესრიგებით კი ვერც ერთმა რეპატრაციის მსურველმა პირმა შეძლო საქართველოს მოქალაქეობის მიღება, რაც ცალსახას ხდის, არსებული კანონმდებლობის ილუზორულობასა და არაეფექტურობას.

თავის მხრივ, ფაქტი, რომ რეპატრიანტის სტატუსის მქონე ვერც ერთმა პირმა შეძლო საბოლოოდ, საქართველოს მოქალაქეობის მიღება, თითქოს ერთმნიშვნელოვნად უნდა მიუთითებდეს, სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკის მოჩვენებითობაზე და უსამართლობაზე, თუმცა სახელმწიფოს წარმომადგენლები ამ ნაწილში თავიანთ პასუხისმგებლობას ვერ იაზრებენ.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, საბჭოს საქმიანობა მხოლოდ და მხოლოდ რეპატრაციის პროცესის მიმდინარეობის განხილვისა და კონკრეტულ საკითხებზე ერთობლივი პოზიციაზე შეჯერების მიზნით ჩატარებული შეხვედრებითა და რეპატრაციის შესახებ სახელმწიფო სტრატეგიის მიღებით შემოიფარგლა. გამოთხოვილი ინფორმაციით დგინდება, რომ საბჭომ არაეფექტურად გამოიყენა მასზე მინიჭებული დისკრეცია- არ ისარგებლა სამუშაო ჯგუფებისა და ექსპერტების მოწვევის უფლებამოსილებით და არც რეპატრაციასთან დაკავშირებული ახალი წინადადებები და რეკომენდაციები შეუმუშავებია.¹⁶

სწორედ, სახელმწიფო გულგრილობის შედეგია, ის, რომ მუსლიმმა მესხებმა რეპატრიანტის სტატუსის მოპოვების მიუხედავად, სამშობლოში დაბრუნება ვერ მოახერხეს. თუმცა, მიუხედავად, იმისა, რომ ცალსახაა, საკოორდინაციო საბჭოს უმოქმედობისა და არაეფექტური ფუნქციონირების შედეგები, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა საჯარო წერილის პასუხად აღნიშნა, რომ **2017 წლისათვის საბჭომ ამოწურა თავისი მისია, შესაბამისად მისი შემდგომი ფუნქციონირების საჭიროება აღარ გამოკვეთილა.**¹⁷

ფუჭი აღმოჩნდა, სახელმწიფოს მიერ „*საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრაციის შესახებ სახელმწიფო სტრატეგიის*“ დამტკიცებაც. თავდაპირველად, სტრატეგიის შექმნის მიზანი რეპატრიანტი პირების სოციალური და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება უნდა ყოფილიყო, რისთვისაც, როგორც ზემოთ აღნიშნა არაერთი მიზანი და ამოცანა იქნა გაწერილი. თუმცა, ერთადერთი რაც, სტრატეგიის მოქმედების ფარგლებში იქნა განხორციელებული, ქართული დელეგაციის აზერბაიჯანში მივლინება იყო. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით: „*სახელმწიფოს მხრიდან, რეპატრიანტის სტატუსის მქონეთა ნატურალიზაციის ხელშეწყობის კუთხით პროაქტიული მოქმედებები განხორციელდა, კერძოდ: იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები მივლენილნი იყვნენ აზერბაიჯანში, რათა მსურველებს საცხოვრებელ ადგილზე ჰქონდათ განაცხადების შევსების შესაძლებლობა.*“¹⁸

ხელისუფლებამ თავიდანვე სრულად უგულებელყო მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის და ენის ბარიერის მქონე რეპატრიანტი პირების სპეციალიზებული და მიზნობრივი სოციალური დახმარების

¹⁵ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, რეპატრაციის საკითხები.

¹⁶ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია. (დოკუმენტი N1541-1-2-202209211441)

¹⁷ იქვე.

¹⁸ იქვე.

გამოყოფის საჭიროება. **სოციალური მომსახურების სააგენტოდან** გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის მიხედვით 2007 წლიდან დღემდე, სახელმწიფოს არ დაუნიშნავს, რეპატრიანტი პირებისათვის რაიმე სახის სოციალური დახმარება/სახელმწიფო გასაცემელი.¹⁹

მიუხედავად იმ ცხადი მოცემულობისა, რომ რეპატრიანტი პირების სამშობლოში ღირსეული დაბრუნებისა და ინტეგრაციის მიმართულებით სახელმწიფოს მიერ, გატარებული ზომები უშედეგო აღმოჩნდა, სახელმწიფო არ განიხილავს საკითხის ხელახალ აქტუალიზებას და რეალური სამართლებრივი მექანიზმების შემუშავებას, რასაც ადასტურებს ისიც, რომ დღევანდელი მდგომარეობით პარლამენტში აღნიშნულ საკითხზე არ არის წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივის წესით რეპატრიანტის სტატუსთან დაკავშირებით რაიმე სახის კანონპროექტი.²⁰

ცალსახაა, რომ რეპატრიაციის პროცესი სრულადაა მოწყვეტილი პოლიტიკური დღის წესრიგიდან, რაც კიდევ ერთხელ აჩენს ლეგიტიმური ვარაუდის საფუძველს, რომ ხელისუფლებას რეალურად არასდროს ჰქონია მიზნად ისტორიულად ჩაგრული მუსლიმი მესხების უფლებრივი რესტიტუცია.

იმავეზე მეტყველებს, **ევროპის საბჭოს ანგარიშებიც, საპარლამენტო ასამბლეის 2018 წლის ანგარიშიც**, სადაც აღინიშნა, რომ დეპორტირებული მესხების რეპატრაცია, საქართველოსათვის განსაკუთრებული საერთაშორისო ვალდებულებას წარმოადგენს, რომლის წარმატებით შესრულებაც ძალიან მნიშვნელოვანია. ანგარიშში საუბარია იმის შესახებაც, რომ მიუხედავად შექმნილი სამართლებრივი ბაზისა და რეპატრიაციის სტრატეგიისა, რეპატრიაციის პროცესის წარმატებულად დასრულება, ძალიან ცოტა რეპატრიანტმა შეძლო, რაც მათი აზრით სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ რეპატრიაციის რეალური პროცესი იმაზე მეტ ძალისხმევასა და დროს მოითხოვდა, ვიდრე ეს შექმნილი კანონმდებლობით იქნა განსაზღვრული.²¹ ბარიერებისა და რეპატრიაციის პროცესთან თანხმლევ სირთულეებზე გაკეთდა აქცენტი 2022 წლის ანგარიშშიც, რომლის მიხედვითაც: „იმ ბარიერებისა და დაბრკოლებების არსებობა, რომლებსაც რეპატრიაციის მსურველი პირები რეპატრიაციის პროცესში აწყდებიან, სამართლიანად შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა.“²² აქედან გამომდინარე, ანგარიშში კეთდება ირიბი მითითება, რომ, მანამ სანამ, რეპატრიაციის მსურველი პირები სამშობლოში დაბრუნებას ვერ ახერხებენ, არასწორი იქნებოდა იმის თქმა, რომ საქართველომ საერთაშორისო დონეზე ნაკისრი ვალდებულება შეასრულა.

რეპატრიაციის პროცესის საერთაშორისო გამოცდილებების მიმოხილვა

პოლონეთი

იქიდან გამომდინარე, ეთნიკური ნიშნით პირთა დეპორტირება საბჭოთა კავშირის პოლიტიკა იყო, ცხადია, რომ სამშობლოდან გადასახლების პრობლემა, კავშირის წევრ სხვა ქვეყნებშიც მწვავედ იდგა.

1955-1959 წლებში 250 000-ზე მეტ პოლონელს მოუწია სამშობლოს დატოვება და უცხო ქვეყნებში იძულებით მიგრირება, თუმცა 1989 წელს საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის შემდგომ, მალევე, პოლონეთის რესპუბლიკამ დაიწყო სამშობლოდან დეპორტირებული პირების უკან დაბრუნების

¹⁹ საჯარო სამართლის იურიდიული პირი სოციალური მომსახურების სააგენტოდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია.(დოკუმენტი N SSA 7 22 00305516)

²⁰ საქართველოს პარლამენტიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია. (დოკუმენტი N8395/2-7/22)

²¹ Committee on the Honouring of Obligations and Commitments by Member States of the Council of Europe, Honouring of obligations and commitments by Georgia, გვ.8

²² Parliamentary Assembly The honoring of obligations and commitments by Georgia, Doc. 15497, 08 April 2022, გვ.39-40

პროცესის საჭიროებასა და მნიშვნელობაზე საუბარი, რისი საბოლოო ფინალიც, 2000 წელს „რეპატრიაციის აქტის“ დამტკიცება გახდა.

გასათვალისწინებელია, რომ პოლონეთში მოქმედი კანონმდებლობით რეპატრიაციის მსურველ პირებს ბევრად უფრო ნაკლები ბიუროკრატიული ბარიერი განესაზღვრათ რეპატრიანტის სტატუსის მოსაპოვებლად, ვიდრე ეს საქართველოში დადგენილი წესისამებრ მოხდა. მაგალითისათვის, საქართველოში ამოქმედებული მოწესრიგება რეპატრიანტის მსურველ პირებს ავალდებულებდა, რომ ერთდროულად ათზე მეტი დოკუმენტისათვის მოეყარათ თავი, მაშინ, როდესაც პოლონეთში მოქმედი „რეპატრიაციის აქტი“ რეპატრიაციის სტატუსის მოპოვებისათვის საჭირო დოკუმენტებად მხოლოდ, დაბადების მოწმობას, პირის ბიოგრაფიასა და პოლონური წარმოშობის დამადასტურებელ დოკუმენტს ითხოვს.²³ თავის მხრივ, პოლონეთთან ინდივიდის კავშირის დადასტურება მარტივად, ნებისმიერი პოლონური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ცნობის/დოკუმენტის წარდგენის გზითაა შესაძლებელი, მაგალითისათვის ვალიდურია: პოლონური პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ნათლობის მოწმობა და ა.შ. ²⁴ ამასთან, პოლონეთის სახელმწიფო პოლონური წარმოშობის დასადასტურებლად არ ითხოვს რეპატრიანტი პირის მიერ, ბლანკეტურად, ჩამოთვლილი დოკუმენტებიდან, თითოეულის წარდგენას, რაც კიდევ ერთხელ ამარტივებს პოლონეთში დაბრუნების მსურველი პირებისათვის რეპატრიაციის პროცესს.

ხაზგასმელი განსხვავებაა ისიც, რომ „რეპატრიაციის აქტი“ პოლონეთში დღემდე მოქმედია, შესაბამისად სამშობლოში დაბრუნების მსურველი პირები არ არიან დროში შეზღუდულნი, რომ რეპატრიაციის უფლებით ისარგებლონ. „რეპატრიაციის აქტის“ მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე რეპატრიანტთა მიერ რეპატრიაციის ეროვნულ ვიზაზე განაცხადის წარდგენის ბოლო ვადის განსაზღვრის დისკრეცია მინისტრთა საბჭოზე დელეგირდა.- თავის მხრივ, პოლონეთის შინაგან საქმეთა და ადმინისტრაციის სამინისტრო, ამ მომენტამდე იღებს განცხადებებს რეპატრიანტის სტატუსის მიღების შესახებ.²⁵ შესაბამისად, იგულისხმება, რომ საქართველოსაგან განსხვავებით, პოლონეთმა არ გამოიყენა არაგონივრულად მოკლე ვადა და გადასახლებაში მყოფი პირებისათვის, რეპატრიანტის სტატუსისა და შემდგომში მოქალაქეობის მოპოვების ხანგრძლივად მოქმედი, ეფექტური მექანიზმი, განსაზღვრა.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, პირმა, რომელსაც საქართველოში დაბრუნება სურს, ჯერ რეპატრიანტის სტატუსი უნდა მოიპოვოს, შემდგომ პირობადებული მოქალაქეობა მიიღოს, საბოლოოდ კი, სხვა ქვეყნის მოქალაქეობიდან გასვლის გზით გახადოს მისი სრული ნატურალიზება შესაძლებელი. პოლონეთში არსებული რეალობა ამ კუთხითაც განსხვავებულია. კანონის მიხედვით, პირი, რომელსაც რეპატრიანტის სტატუსის საფუძველზე მიენიჭა პოლონეთის ეროვნული ვიზა, მოქალაქეობა პოლონეთის რესპუბლიკის საზღვრის გადაკვეთის დღესვე მიენიჭება.²⁴ ეს კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რომ „რეპატრიაციის აქტი“ რეპატრიანტების ნატურალიზაციის პროცესს განზრახ

²³ Ministry of the Interior and Administration, „Apply for a national visa for the purpose of repatriation“, ხელმისაწვდომია: <https://www.gov.pl/web/mswia-en/apply-for-a-national-visa-for-the-purpose-of-repatriation>

²⁴ The repatriation act, Article 6, ხელმისაწვდომია: <http://images.policy.mofcom.gov.cn/flaw/201005/318032a0-cb01-463d-be25-5bba600f52c7.pdf>

²⁵ იქვე. Article 10

არ აქიანურებს მოქალაქეობის ეტაპობრივი მიღებითა და საწყის ეტაპზე რეპატრიანტი პირისათვის ჯერ, ე.წ. პირობადებული მოქალაქეობის მინიჭების გზით. თავის მხრივ, რეპატრიაციის მიზნით პოლონეთის ეროვნული ვიზა გაიცემა პირზე, რომელიც: ნებისმიერი, ვალიდური პოლონური დოკუმენტის წარგდენის გზით, დაადასტურებს პოლონეთთან მისი კავშირის არსებობას და/ან რეპატრიაციის აქტის კანონიერ ძალაში შესვლამდე მუმიდევად ცხოვრობდა: აჟამინდელი სომხეთის, აზერბაიჯანის საქართველოს, ყაზახეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის, უზბეკეთის რესპუბლიკებში ან რუსეთის ფედერაციაში.²⁶

ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, სწორედ ისაა, რომ პოლონეთმა თავიდანვე გაიაზრა, რომ რამდენიმე დეკადის განმავლობაში გადასახლებაში მცხოვრებ პირებსა და მათ შთამომავლებს, პოლონეთში ჩამოსვლის შემდგომ ცხოვრების ხელახალი დაწყება მოუწევდათ, ამიტომაც, სახელმწიფომ სპეციალური სოციალური დახმარების პოლიტიკა შეიმუშავა. მაგალითისათვის, დადგენილი წესისამებრ, რეპატრირებულ პირებსა და მათ ოჯახის წევრებს სახელმწიფოს ხაზინიდან უფინანსდებათ მესამე ქვეყნიდან პოლონეთში ტრანსპორტირების ხარჯები.²⁷ ამასთან, დადგინდა, რომ თითო რეპატრიანტისა და რეპატრიანტის ოჯახის უახლოესი წევრებისათვის განკუთვნილი საანგარიშსწორებო გრანტი (დახმარება), მათი საჭიროებების, ადაპტაციისა და რეინტეგრაციის მიზნების გათვალისწინებით, ორჯერ უნდა აღემატებოდეს პოლონელი მოქალაქის საშუალო თვიურ ანაზღაურებას.²⁸ საყურადღებოა, რომ რეპატრიანტ პირებს, საცხოვრისის მოსაწყობად (რემონტისა და ავეჯის შესაძენად) სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთჯერადად გადაეცემათ 6000 პოლონური ზლოტი თითო ოჯახის წევრზე.²⁹

დამატებით, სახელმწიფო თითო რეპატრიანტზე გამოჰყოფს 25 000 პოლონურ ზლოტს, რაც განკუთვნილია:

- საცხოვრებელი ფართის ქირის;
- სტუდენტურ საერთოსაცხოვრებელში პირის განთავსების საფასურის
- საცხოვრებელი ფართის შესყიდვის ხარჯების დასაფარად.

აღნიშნული თანხა რეპატრირებულ პირს გადაეცემა სუბსიდირებული სესხის სახით, ხოლო თავის მხრივ, რეპატრიანტი იღებს ვალდებულებას, რომ 10 წლის ვადაში დაფარავს სესხს, იმ დათქმით, რომ ყოველ წელს, 10%-ით შემცირდება მის მიერ დასაფარი თანხის ოდენობა.³⁰

ამასთან, რეპატრირებულ პირს საზღვრის კვეთიდან 90 დღის განმავლობაში სრულად უფინანსდება ნებისმიერი სახის ჯანდაცვის სერვისი და მომსახურება. ხოლო მოქალაქეობის მიღების მომენტიდან, რეპატრირებული პირი ჩვეულებრივ ექვემდებარება საყოველთაო ჯანდაცვის რეგულაციებს, ისევე როგორც, ყველა სხვა პოლონეთის მოქალაქე.³¹

²⁶ იქვე. Article 9 (3)

²⁷ Ministry of the Interior and Administration, Assistance for repatriates, ხელმისაწვდომია:

<https://www.gov.pl/web/mswia-en/assistance-for-repatriates>

²⁸ იქვე.

²⁹ იქვე.

³⁰ იქვე.

³¹ იქვე.

სახელმწიფოს პოლიტიკა ინკლუზიურია რეპატრიანტი პირის დასაქმებასთან მიმართებითაც. რეპატრიაციის შესახებ კანონის 23-ე მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია, რეპატრიანტის პროფესიული განვითარების, საზოგადოებაში ინტეგრაციისა და შემოსავლის წყაროს უზუნველსაყოფად მოახდინოს რეპატრიანტის შრომის ანაზღაურების, სამუშაო დაზღვევისა და ეკიპირებისათვის საჭირო თანხების სუბსიდირება 5 წლის ვადით.³²

ლატვია

ანალოგიურ მოწესრიგებას გვთავაზობს, ლატვიაში მოქმედი კანონი „*რეპატრიაციის შესახებ*“, რომლის მე-2 მუხლი მარტივად განჭვრეტადს ხდის, თუ ვინ შეიძლება მიიღოს რეპატრიანტის სტატუსი- „*რეპატრიანტი არის ლატვიური წარმოშობის პირი, ან მისი აღმავალი შტოს პირდაპირი შთამომავალი, რომელიც ნებაყოფლობით იღებს მუდმივ მოქალაქეობას ლატვიის რესპუბლიკაში.*“³³

პოლონეთის მსგავსად, არც ლატვიაში მოქმედი კანონმდებლობა არ ავალდებულებს, ისტორიულად ჩაგრულ, იძულებით გადასახლებულ ჯგუფებს, რომ სამშობლოში დაბრუნების მიზნით ათობით დოკუმენტი წარუდგინოს ადმინისტრაციულ ორგანოს. „რეპატრიაციის შესახებ“ კანონის თანახმად, რეპატრიანტის სტატუსის მისაღებად საკმარისია: პირადობის დამადასტურებელი მოწმობის, რეპატრიანტის სტატუსის მიღების შესახებ განცხადებისა და ლატვიური წარმოშობის დამადასტურებელ საბუთის წარდგენა.³⁴

საქართველოსაგან განსხვავებით, ვადების კუთხით, ლმობიერია ლატვიის პოლიტიკაც. ლატვიის მოქალაქეობისა და მიგრაციის საქმეთა ოფისის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია, ცხადყოფს, რომ **ლატვია ამჟამად იღებს განსახილველად რეპატრიაციის შესახებ განცხადებებს.**³⁵

სენსიტიურია ლატვიის სახელმწიფოს მიდგომა რეპატრიანტი პირების სპეციალიზებული სოციალური უფლებების მნიშვნელობასთან დაკავშირებითაც. კანონის მიხედვით, რეპატრიანტი, რომელმაც 1990 წლის 4 მაისამდე დატოვა ლატვიის სახელმწიფო ტერიტორია/ დაიბადა საზღვარგარეთ / 1990 წლის 4 მაისის დროისათვის არასრულწლოვანი იყო- უფლებამოსილია, მიიღოს დახმარება სოციალური საკითხების, მათ შორის, ინტეგრაციის, ინფორმირებულობისა და საცხოვრისის ძებნასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაში.³⁶ ამასთან, დადგენილია, რომ ლატვიაში დაბრუნებისთანავე, რეპატრიანტი მიიღებს ყოველთვიურ შემწეობას, კანონით დადგენილი ოდენობით.³⁷

ამასთან, ისევე როგორც პოლონეთით გათვალისწინებული მოწესრიგებით, ლატვიის კანონმდებლობითაც გათვალისწინებულია, მესამე ქვეყნიდან ლატვიაში პირის მგზავრობასთან და საცხოვრისის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ ხარჯების დაფინანსების საჭიროება (711 ევროს

³² The Repatriation Act, Article 23.1, ხელმისაწვდომია: <http://images.policy.mofcom.gov.cn/flaw/201005/318032a0-cb01-463d-be25-5bba600f52c7.pdf>

³³ Repatriation Law, Article 2, ხელმისაწვდომია: <https://likumi.lv/doc.php?id=37187>

³⁴ იქვე. Article 1.

³⁵ Office of Citizenship and Migration Affairs Republic of Latvia- ხელმისაწვდომია: <https://www.pmlp.gov.lv/en/repatriation-0>

³⁶ Repatriation Law, Article 14.

³⁷ იქვე. Article 16

ოდენობით). საყურადღებოა, რომ პირი, რომელიც ლატვიაში ცხოვრებიდან 1 წლის განმავლობაში ვერ მოახერხებს საკუთარი სახსრებით დასაქმებას, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მას განესაზღვრება ყოველთვიური შემწეობა ლატვიაში არსებული მინიმალური ხელფასის 90%-ის ოდენობით.

დასკვნა

ერთი შეხედვით უდავოა, რომ გადასახლებაში მყოფ პირებს, ათწლეულობის შემდეგ სამშობლოში პირველად დაბრუნების პროცესში არაერთი სირთულის გადალახვა მოუწევთ, მათ შორის როგორც ინტეგრაციისა და ადაპტირების კუთხით, ისე სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით. თუმცა, საქართველოში ამოქმედებულმა კანონმდებლობამ და არსებულმა პოლიტიკამ, სრულად უზულებელყო რეპატრიანტი პირების რეალური საჭიროებები და შაბლონური კანონმდებლობის შექმნით შემოიფარგლა, რომელიც პრობლემურია როგორც ვადებისა და არაინკლუზიური მიდგომების, ისე ბიუროკრატიული ბარიერების კუთხით, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ 2007 წლიდან დღემდე, არც ერთი რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირის სრული ნატურალიზება არ მომხდარა, შესაბამისად, ცალსახაა, რომ აქამდე მიღებული ზომები არაეფექტიანი და წარუმატებელი აღმოჩნდა. სამწუხაროდ რეპატრიაციის პროცესი სრულადაა განდევნილი არსებული პოლიტიკური დღის წესრიგიდან და მესხების წინაშე მდგარ გამოწვევებზე აქტიურად არ საუბრობენ სამოქალაქო, პოლიტიკური და მედია ორგანიზაციები. არსებითია სახელმწიფოსა და პოლიტიკური და სამოქალაქო აქტორების მიერ აღიარებული იყოს, რომ მუსლიმი მესხების სამშობლოში რეპატრაცია დღემდე მოუგვარებელი გამოწვევაა, რისთვისაც საჭიროა, ხელახლა მოხდეს რეპატრიაციის პროცესისათვის საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომელიც არ იქნება ბლანკეტური შეზღუდვებითა და ვალდებულებებით დატვირთული.

ამასთან, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ გაიაზროს, რომ სამშობლოში დაბრუნებულ ადამიანებს, ფაქტობრივად ხელახლა უწევთ ცხოვრების დაწყება და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ აქ ჩამოსულ პირებისათვის, თუნდაც განსაზღვრული დროით მაინც შეიქმნას სპეციალიზებული, მათზე მორგებული სოციალური დაცვის პაკეტი, როგორიცაა საცხოვრისის დაფინანსების, დასაქმებისა და საზოგადოებაში ადაპტირების სისტემები.